



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მათიკაშვილი ნიკოლოზ ლავრენტის ძე

მათიკაშვილი ნიკოლოზ ლავრენტის ძე (8. IV. 1900, სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, - 1993, ვარშავის გარეუბანი ბალესიე), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. პოლონეთის არმიის შტაბს-კაპიტანი (1939). ქართ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა თბილ. ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1917), 1920 შევიდა თსუ-ის სამეურნეო (აგრონ.) ფაკ-ტზე, რ-იც ჯარში სამსახურის გამო მიატოვა, შემდეგ სწავლობდა თბილ. იუნკერთა სასწავლებელში. იყო 1921 თებერვლის კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლის, ხოლო 1921 მარტში - თურქების წინააღმდეგ ბათუმის ბრძოლების აქტ. მონაწილე. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვე. დემოკრ. რესპ-ის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ვარშავის ოფიცერთა სკოლის დამთავრების შემდეგ (1923) პოდპორუჩიკის წოდებით ჩაირიცხა პოლონეთის ეროვნ. არმიაში. 1932 დაამთავრა ვარშავის სამხ. აკადემია. 1939-43 იყო დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწე. მონაწილეობდა 1944 ვარშავის აჯანყებაში, სადაც მძიმედ დაიჭრა და გერმანელების ტყვედ ჩავარდა. 1945-50 კვლავ პოლონეთის არმიაში დაბრუნდა. 1950-იდან ეწეოდა პუბლიც. და მთარგმნელობით საქმიანობას. 1951-70 რამდენჯერმე აირჩიეს პოლონეთის ორიენტალისტთა სამეცნ. საზ-ბის პრეზიდენტად. ჟურნ. „ორიენტალისტურ მაცნეში“ გამოქვეყნდა მ-ის არაერთი ნაშრომი საქართვე. ისტორიასა და ქართ. მუს. კულტურაზე, ქართ. ფოლკლორზე, „ვეფხისტყაოსანზე“ და ა. შ. გარდა ამისა, თანამშრომლობდა ქართ. ემიგრაციულ პრესასთან („ივერია“, „თავისუფალი ტრიბუნა“ და სხვ.). მ. აქტიურად მონაწილეობდა საქართველო-პოლონეთის საზ-ბის საქმიანობაში, იყო ამ საზ-ბის საპატიო თავ-რე (1992-94). 1988 მან მ. კვალიაშვილთან ერთად ჟურნ. „ივერიაში“ (პარიზი) გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „იუნკრები“, რ-იც 1990 თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა.

დაკიდობებული იყო პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენით „ვირტუტი მილიტარი“. დაკრძალულია ვარშავაში ბროდნოვსკის სასაფლაოზე.

თხზ.: იუნკერები და სხვები, თბ., 2016.

ლიტ.: გ რ ი შ ი კ ა შ ვ ი ლ ი ა., ნიკოლოზ მათიკაშვილი – ქართველთა ნესტორი პოლონეთში, წგ.: ქართველები პოლონეთში, თბ., 2008; დ ა უ შ ვ ი ლ ი რ., ნიკოლოზ მათიკაშვილი, წგ.: საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012.

დ. ურუშაძე
